პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 შაბათი 18 სექტემბერი № 220 (16650) ფასი 2 კაპ. 1976



170 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მრეწველობის მშრომელთა ვალდებულებანი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა თბილისის მრეწველობის მშრომელთა მაგალითისამებრ, საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირის პასუხად გადახედეს თავიანთ ვალდებულებებს და გადაწყვიტეს წინათ ნაკისრი 840 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ნაცვლად წლეულს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1 მილიონ 300 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

დამკვრელური შრომით ვახტზე დადგნენ ცხინვალის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. გადიდებული ვალდებულების შესრულება იკისრეს ავტობუსების სარემონტო, ვიბრომანქანის ქარხნების, აგრეთვე კვარცის მაღაროთა სამმართველოს კოლექტივებმა.

სწავლა შრომით

კომუნისტური აღზრდა გულისხმობს ხალხთა განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემის განუწყვეტელ სრულყოფას. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. იგი წინანდელთან შედარებით სხვაგვარ ხასიათს ანიჭებს შრომას და, მაშასადამე, შრომისათვის ადამიანის მომზადებასაც, — ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ეს პროგრამული მითითება, პარტიის XXV ყრილობაზე მოცემული, უდიდეს სტიმულს აძლევს და ნათელ გზას უჩვენებს პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთელ სისტემას.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ პასუხსაგები როლი დააკისრეს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო სისტემას სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის მაღალკვალიფიციური მუშების მომზადების საქმეში. ეს მით უფრო, რომ ჩვენს ქვეყანაში იგრძნობა მუშახელის დეფიციტი. მუშები გვჭირდება ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე... ამიტომაც სახელმწიფო მილიარდობით მანეთს ხარჯავს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. შენდება ახალი თანამედროვე პროფტექნიკური სასწავლებლები კაბინეტებით, სახელოსნოებით, ლაბორატორიებით და სპორტული კომპლექსებით აღჭურვილი. სამშობლოს პროფტექსასწავლებლებმა შარშან მუშათა კლასის დიდი არმია მისცეს.

მეათე ხუთწლედში ქვეყნის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოსულ მუშათა ცხრა მეათედი ახალგაზრდობა იქნება. ექვსი ათასზე მეტი სასწავლებელი მრავალ პროფესიას სთავაზობს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს; სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კვალიფიციური კადრების შევსების ძირითად წყაროდ იქცა სოფლის პროფტექსასწავლებლები. ასეთი სასწავლებლები, სადაც ასამდე სპეციალობას ასწავლიან, ათას ხუთასამდე გვაქვს, აქ 625 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი სწავლობს.

რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები, სულ ახლახან რომ მიმართავდნენ ახალგაზრდობას ქალიშვილებსა და ჭაბუკებს დაეუფლონ პროფესიებს, იყონ სანიმუშონი სწავლასა და შრომაში — ხაზს უსვამდნენ სწორედ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების უდიდეს სიკეთეს პროფესიების დაუფლებაში, ცხოვრებისათვის ახალგაზრდობის მომზადებაში. განათლების ამ სისტემის სასწავლებლებში მომზადებული ახალგაზრდები უშუალო მონაწილეობას მიიღებენ სოციალისტური ინდუსტრიის წინსვლაში, სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში.

ამ სასწავლებლებში შეძენილი ცოდნა ახალგაზრდებს ცხოვრების ფართო გზას გაუხსნის და მათი შემდგომი ზრდის, დავაჟკაცების, ზოგადი და სპეციალური განათლების დონის ამაღლების საფუძველი იქნება.

მიმართვა მოაგონებს ჩვენს ახალგაზრდობას, რომ სწორედ პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა გაუკვალეს გზა დიდების მწვერვალებისაკენ აკადემიკოს სერგეი კოროლიოვს, პირველ კოსმონავტს იური გაგარინს, საბჭოთა კავშირის სამგზის გმირს, ავიაციის მარშალ ალექსანდრე პოკრიშკინს. ასეთმა სასწავლებლებმა ჩვენს რესპუბლიკას მისცეს ჩვენი მუშათა კლასის სახელოვანი წარმომადგენლები, როგორიც არიან ეთერ სოლომონია, გრიგოლ ბოგვერაძე, ნანული ჩერქეზიშვილი, ალექსანდრა გამყრელიძე, კონსტანტინე მდივანი, მირიან კოკოლაშვილი, ნიკოლოზ მელიქიშვილი, გრიგოლ დოლონაძე, დავით ბაღდავაძე, ლეონტი ტყებუჩავა, გრიგოლ ნანიტაშვილი და სხვები.

თქვენ მუდამ კეთილი გულით გიხმობთ, ახალგაზრდებო, ეს სასწავლებლები. ახალ სასწავლო წელს 26.200 ახალგაზრდა მიუსხდა მერხებს ამ სასწავლებლებში, ხოლო 23.300 კურსდამთავრებული შეუერთდა ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი ქვეყნის მშენებელთა მძლავრ არმიას.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების დიდ სიკეთეზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ნაკლოვანებები, რასაც ჯერ კიდევ ვაწყდებით განათლების ამ სისტემის სასწავლებელთა ყოფაში, მათი სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში, სასწავლებელთა დაკომპლექტების საქმეში. ამ ნაკლოვანებებზე ითქვა სისტემის ზონალურ კონფერენციებზე, რესპუბლიკის მთელმა რიგმა ქალაქებმა და რაიონებმა (ქალაქები — გორი, ტყვარჩელი, ცხინვალი, ახალციხე და ბოგდანოვკის, გუდაუთის, გულრიფშის, მარნეულის აგრეთვე თბილისის 26 კომისრის, კალინინის, კიროვის, პირველი მაისის რაიონები) არათუ არ შეასრულეს ვაჟებისა და გოგონების პროფტექნიკურ სასწავლებლებში გაგზავნის 1975 წლის გეგმა, არამედ თავიანთ ტერიტორიაზე არსებული ეს სასწავლებლები სრულად არც კი დააკომპლექტეს.

ცალკეული ქალაქები და რაიონები თავიანთ ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო პროფტექგანათლების სასწავლებლებს აკომპლექტებენ არა ადგილობრივი, არამედ სხვა რაიონების ახალგაზრდებით. 1975 წელს ქალაქ თბილისის პროფტექგანათლების სასწავლებლების მოსწავლეთა საერთო კონტინგენტის მხოლოდ 39,4 პროცენტი შეადგინა ადგილობრივმა ახალგაზრდობამ, ქალაქ ქუთაისის პროფტექგანათლების სასწავლებლების მოსწავლეთა მხოლოდ 28 პროცენტი ადგილობრივი ახალგაზრდობა. ეს კი შემდგომში აძნელებს სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დამაგრებას იმ სამუშაო ობიექტებზე, რომლებისთვისაც ხდებოდა მათი მომზადება.

სახალხო განათლების ორგანოები, სკოლები ჯერ კიდევ სწავლაში ჩამორჩენილ და ზოგჯერ უდისციპლინო მოსწავლეებსაც გზავნიან პროფტექგანათლების სასწავლებლებში. სამწუხაროდ, საქმე არ გვიჩვენებს იმას, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები შეშფოთებული იყონ ამ ფაქტებით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზოგიერთი სამინისტროსა და საწარმოს არადამაკმაყოფილებელი ზრუნვა პროფტექნიკური სასწავლებლების სასწავლო-საწარმოო ბაზისათვის. თბილისის № 23 და № 24 პროფესიულ-ტექნიკურ და № 35 ტექნიკურ სასწავლებლებს, რომლებიც საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა ბაზებზე არსებობენ, არ გააჩნიათ სასწავლო სახელოსნოები პირველდაწყებითი საწარმოო სწავლებისათვის. ასეთივე სახელოსნოები სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას თბილისის № 36, გორის № 39, ხაშურის № 64 და ცხაკაიას № 66 საქალაქო პროფტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც აგრეთვე არსებობენ იმავე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა ბაზებზე.

მრავალ საკავშირო და რესპუბლიკურ სამინისტროთა საწარმოების ბაზებზე მუშაობს თხუთმეტი საქალაქო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებელი, რომლებსაც მინიმალური პირობებიც კი არ გააჩნიათ საწარმოო სწავლების მოსაწყობად. საშველი არ დაადგა პროფესიულ-ტექნიკური კომპლექსების მშენებლობის დაჩქარებას ლანჩხუთში, ლაგოდეხში, გალში, ზუგდიდში, თბილისში, ჭიათურაში, ცხინვალში; ცუდია მშენებლობის ხარისხი ლანჩხუთის, მარნეულის, მახარაძის, თბილისის, ცხინვალის ობიექტებზე.

ეს და სხვა მრავალი ნაკლი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. ამას მოითხოვს ის გადაუდებელი ამოცანები, რაც დასმულია სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებით; ამას მოითხოვს პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომი განვითარების, ახალგაზრდა კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების ხარისხის ამაღლების და ეფექტურობის ინტერესები. უნდა უზრუნველვყოთ ახალგაზრდობის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ განათლებაზე გეგმაზომიერი გადასვლა. ისევე როგორც მთელი რესპუბლიკის სახალხო განათლებისათვის, პროფტექნიკური განათლების სისტემისთვისაც ნათელ სამოქმედო პროგრამას იძლევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმის გადაწყვეტილებანი. ჩვენმა სასწავლებლებმა საკუთარ დევიზად უნდა გაიხადონ რუსთაველ მეტალურგთა დევიზი — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!"

ახალი სასწავლო წელი დაიწყო. მან უნდა მოგვიტანოს დიდი სიხარული. ეს იქნება დიდი სწავლა შრომით. საზეიმო განწყობილებით რომ შევუდექით ხარისხის ხუთწლედის პირველ სასწავლო წელს, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სწავლაც და სწავლებაც ხარისხიანი უნდა იყოს.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის შეუნელებელ ზრუნვას მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, კერძოდ, მუშათა კლასის ახალი შევსებისა და ცვლისათვის ბეჯითი სწავლით და შრომით, მტკიცე დისციპლინით უნდა ვუპასუხოთ.

ვისწავლოთ იმისათვის, **რომ მთელი ჩვენი ცოდნა სამშობლოს, ხალხს მოვახმაროთ.**

ხუთწლედის ვახტზე

ქარხანა მზად არის

ყვარლის რაიონში ქინძმარაულის ღვინის ქარხანა მთლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ მზად არის. იგი ყოველწლიურად ოთხი ათას ტონა ყურძენს გადაამუშავებს.

ქარხანა ააშენა ყვარლის № 23 მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ, რომელმაც ვალდებულება იკისრა რთველისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცა ეს ობიექტი. სიტყვა შესრულდა. რთველისათვის მზად არიან ქარხნის მუშაკები.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): № 4 ტრესტის 23-ე მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი სანდრო სეფაშვილი, ბრიგადირი ნუგზარ ახმეტელაშვილი, მშენებლობის ოსტატი ოთარ მაისურაძე და მემონტაჟეთა ბრიგადირი ნოდარ გაცილაშვილი.

ე. ეგინოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევ!

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადად გილოცავთ კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-22"-ის წარმატებით გაშვებას და ფრენის გეგმით გათვალისწინებული ექსპერიმენტების დაწყებას.

ჩვენს პარტიას და მთელ ჩვენს ხალხს ეს ამბავი მიაჩნიათ საბჭოელ მეცნიერთა, კოსმონავტთა, ინჟინერთა და მუშათა ახალ შემოქმედებით წარმატებად, რომელთა საქმიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კოსმოსური კვლევა-ძიების კაცობრიობის საკეთილდღეოდ გამოყენებას ხმარდება.

ჩვენ ძალზე გვახარებს, რომ ეს კოსმოსური ექსპერიმენტი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მონაწილეობით ხორციელდება.

ეს კიდევ ერთხელ დამაჯერებლად მოწმობს, თუ როგორ ღრმავდება და ფართოვდება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, როგორც ეს გათვალისწინებულია ჩვენი სახელმწიფოების მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1975 წლის 7 ოქტომბრის ხელშეკრულებით.

ეს ერთობლივი კოსმოსური ექსპერიმენტი, რომელსაც სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერები აწყობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სპეციალისტთა მიერ შემუშავებული და ქარხანა „კარლ ცაის იენაში" დამზადებულ თანამგზავრზე დაყენებული მრავალზონიანი კოსმოსური ფოტოკამერის გამოყენებით, მოწმობს, თუ რა მაღალ დონეზეა მეცნიერება და ტექნიკა სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ეს დიდი მეცნიერული მიღწევა მიგვაჩნია იმის დადასტურებად, რომ ჩვენი ქვეყნები სულ უფრო მჭიდროდ თანამშრომლობენ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი ეფექტიანობის ამაღლებისათვის ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესების საკეთილდღეოდ.

სულითა და გულით ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით დღეგრძელობას ამ ექსპერიმენტის მონაწილე ყველა მეცნიერს, კოსმონავტს, ინჟინერსა და მუშას.

კომუნისტური სალამით

ერიხ ჰონეკერი,

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

მ. ა. სუსლოვი ლენინგრადში

ლენინგრადი. 17 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი ეწვია გაერთიანება „კიროვის ქარხანას", სადაც გაეცნო სატრაქტორო და მეტალურგიულ საწარმოებს. იგი ესაუბრა მუშებს, სპეციალისტებს, დაინტერესდა, თუ როგორ ასრულებს კოლექტივი სოციალისტურ ვალდებულებებს, გამოიკითხა კიროველთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობები.

მ. ა. სუსლოვთან ერთად გაერთიანებაში იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. რომანოვი.

სმოლნიში გაიმართა მ. ა. სუსლოვის საუბარი სკკპ ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივნებთან. საუბარი შეეხო ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ლენინგრადის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კაპიტალური მშენებლობის განვითარებისათვის.

მ. ა. სუსლოვმა დაათვალიერა სმოლნის ისტორიული სააქტო დარბაზი, ვ. ი. ლენინის პირველი სამუშაო კაბინეტი და რევოლუციის დიდი ბელადის ოთახი-მუზეუმი.

ზვრებსა და პლანტაციებში

რთველია!

მოკრეფილია 8.881 ტონა ყურძენი

კახეთის რაიონებში რთველი მალე მასობრივად გაჩაღდება. ყველაზე მეტი ყურძენი მოკრეფილი აქვთ **გურჯაანის** რაიონის მევენახეებს. 16 სექტემბერს რაიონში მოიკრიფა 1.276 ტონა ყურძენი, სულ დამზადებულია 3.174 ტონა.

წითელწყაროელმა მევენახეებმა მოკრიფეს 2.521 ტონა ყურძენი, ერთ დღეს კი 576 ტონა. **სიღნაღის** რაიონში მოკრეფილია 1.177 ტონა, **ყვარლის** — 1.074 ტონა. სულ კახეთის რაიონებში მოკრეფილია 7.946 ტონა ყურძენი.

ყურძნის კრეფა მიმდინარეობს **მარნეულელთა** ზვრებში. მათ მოკრეფილი აქვთ 662 ტონა ყურძენი, **ბოლნისელებს** — 95 ტონა, **ზესტაფონელებს** — 88 ტონა, ხოლო **თერჯოლელებს** — 90 ტონა ყურძენი.

ჩაი — ვალდებულების ანგარიშში

წლეულს საქართველოს მეჩაიეებმა სერიოზული ვალდებულება იკისრეს და ენერგიული შრომით წარმატებებსაც აღწევენ. მეჩაიეები პირველად ნაკისრი ვალდებულებით 335.000 ტონისათვის, შემდეგ კი 340.000 ტონა ჩაისათვის იბრძოდნენ.

სახელოვან მეჩაიეთა სიტყვა და საქმე ერთია. რესპუბლიკური სახელმწიფო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" 16 სექტემბრის (ჩათვლით) ცნობებით სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 342.368 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ჩაის კრეფაში ბევრმა რაიონმა გამოიჩინა თავი.

მახარაძის რაიონში მოკრეფილია 59.000 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო". მათ ახალი ვალდებულებით მოსაკრეფი აქვთ 60.000 ტონა ჩაის ფოთოლი.

ზუგდიდელებმა მოკრიფეს 46.682 ტონა და 48.000 ტონისათვის იბრძვიან. **ქობულეთელებს** მოკრეფილი აქვთ 33.523 ტონა და ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში მოსაკრეფია რვაას ტონაზე ცოტა მეტი. **ხელვაჩაურის** რაიონში მოკრეფილია 14.643 ტონა, კიდევ მოკრეფენ 400 ტონაზე მეტს.

აფხაზეთის მეჩაიეებმა მოკრიფეს 63.328 ტონა ჩაის ფოთოლი. ახალი ვალდებულების ანგარიშში კიდევ უნდა მოკრიფონ 2.000 ტონაზე ცოტა მეტი. წარმატებით შეასრულეს წინათ ნაკისრი ვალდებულებები და ახლა დამატებითი ვალდებულებების ანგარიშში კრეფენ ჩაის ფოთოლს ჩოხატაურის, წყალტუბოს, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, წულუკიძის, ლანჩხუთის, ხობის რაიონების მეჩაიეები.

საქართველოს დღე ზაგრებში

ზაგრები. საკდესის კორესპონდენტი გ. პოლეგაევი გვატყობინებს:

ზაგრებში საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობაზე 16 სექტემბერს საქართველოს სსრ ეროვნული დღე იყო. ტრადიციისამებრ ყოველ წელიწადს ბაზრობაზე სსრ კავშირის პავილიონში ეწყობა ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის ექსპოზიცია. ამჯერად თავის მიღწევებს უჩვენებდა საბჭოთა საქართველო.

რესპუბლიკის ასმა სამრეწველო საწარმომ გამოგზავნა თავისი პროდუქცია ზაგრებში, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს საქართველოს ექსპოზიციის პასუხისმგებელმა ლ. რცხილაძემ. — ჩვენს განყოფილებაში, რომელიც საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში საქართველოს წარმატებებს ასახავს, წარმოდგენილია როგორც ჩვენი ტრადიციული საქონელი — ხალიჩები, კერამიკა, ჩაი, ღვინო, ისე მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, სხვა დიდმნიშვნელოვანი დარგების პროდუქცია. ახლა საქართველოს თავისი ნაწარმი გააქვს მსოფლიოს 70 ქვეყანაში, მათ შორის იუგოსლავიაშიც.

დღეს საქართველოს ექსპოზიციის სტენდებთან განსაკუთრებით ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. სპეციალისტების დიდი ინტერესი გამოიწვია ნავლონის სიგრძისა და წონის ზუსტმა გასაზომმა ავტომატიზებულმა სისტემამ „ანგსტრემმა". დამსწრეთ ამ სისტემის მუშაობაზე ესაუბრა მისი ერთ-ერთი შემქმნელი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი თ. ძაგანია. სტუმრები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ხალხურ ოსტატთა ნაწარმს, აღტაცებული იყვნენ სტერეოფონური ელექტროფონის „ელექტრონიკის" ჟღერადობით. პავილიონში უჩვენებს დოკუმენტური ფილმები საბჭოთა საქართველოს შესახებ, გამოვიდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა", დემონსტრირებული იყო თბილისის მოდელების სახლის მოდები.

საქართველოს სსრ ხუთ ექსპონატს ბაზრობის ოქროს მედლები მიენიჭა. ასეთი მედლები დაიმსახურა კერძოდ, „ანგსტრემმა", წყალქვეშაფრთიანმა კატარღამ „ვოლგამ" და ცნობილმა ღვინომ „წინანდალმა".

საქართველოს ეროვნული დღის გამო გამართულ ზეიმზე იყო საქართველოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. მ. ივანიშვილი.

„სოიუზ-22"

ფრენის მესამე დღე

ფრენის მართვის ცენტრი, 17 სექტემბერი. (საკდესი). „სოიუზ-22" ხომალდში მუშაობის მესამე დღის მანძილზე კოსმონავტებმა ვალერი ბიკოვსკიმ და ვლადიმერ აქსიონოვმა განაგრძეს დედამიწის ზედაპირის ფოტოგადაღების ექსპერიმენტები მრავალზონალური ფოტოაპარატის მეშვეობით. ეკიპაჟმა შეასრულა გადაღება ციმბირის, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის, ოხოტის ზღვის სანაპირო რაიონებში.

სამეცნიერო პროგრამის შესრულების მსვლელობაში ექსპერიმენტი მოაწყეს იმ სინათლის ეფექტების მოვლენის გამოსაკვლევად, რომლებსაც კოსმოსური სხივების ნაწილაკები იწვევს თვალის შუქმგრძნობიარე უჯრედებში.

ფრენის დროს ხომალდის ატმოსფეროს შემადგენლობის ცვლილებათა შესასწავლად აიღეს ჰაერის პირველი სინჯი.

გუშინ ნაშუადღევს კოსმონავტები იღებდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებს. შესრულდა აგრეთვე ატმოსფეროს ოპტიკური მახასიათებლების შესწავლის მიზნით დედამიწის ჰორიზონტის ფოტოგადაღების ექსპერიმენტი.

ტელემეტრიული ინფორმაციისა და ეკიპაჟის მოხსენებათა მიხედვით, ხომალდში ყველაფერი რიგზეა. ფრენა გრძელდება.

17 სექტემბერი

„პრავდის" ფურცლებზე

„**სოციალურ** ამოცანებს შორის არ არის უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისათვის ზრუნვა" — თქვა სკკპ XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. კომუნისტური პარტია, ჩვენი სახელმწიფო დღენიადაგ უთმობენ ყურადღებას ამ ამოცანის გადაწყვეტას. საბჭოეთის მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგანან კვალიფიციური კადრები, ისინი დიდი პასუხისმგებლობით ასრულებენ თავიანთ კეთილშობილურ მისიას. ექიმების რიცხვმა ჩვენს ქვეყანაში 830 ათასს მიაღწია, ათი ათას მცხოვრებზე მოდის 32,5 ექიმი — ეს ყველაზე მაღალი დონეა მსოფლიოში.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა, — ნათქვამია დასასრულ მოწინავეში, („ექიმის დიდი მოვალეობა") — უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა.

მკითხველი უთუოდ ინტერესით წაიკითხავს — „პარტიული ცხოვრების" რუბრიკით გამოქვეყნებულ ვ. ბელოუსოვის წერილს — „გიღებთ, ამხანაგო"...

ამას წინათ გუბკინელმა სამთოელებმა, მაკეევკელმა მეტალურგებმა და როსტოველმა მანქანათმშენებლებმა მოწოდებით მიმართეს თავიანთ თანამოსაქმეებს, მუშური გარანტია ტექნოლოგიური პროცესის ყველა რგოლზე ნედლეულიდან მზა პროდუქციამდე გავავრცელოთო. ამ მოწოდებას ფართოდ დაუჭირეს მხარი მთელ ჩვენს ქვეყანაში. გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულია სარედაქციო ფოსტის სამი წერილი, რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორ გაშალა ამ თაოსნობამ ფრთები სხვადასხვა წარმოებისა და საწარმოს პირობებში („მიზანია საბოლოო შედეგები").

გაზეთი კვლავ განაგრძობს თავისი სპეციალური კორესპონდენტის ს. ვიშნევსკის მიერ ვაშინგტონიდან გადმოცემული „ამერიკული ცვლილებების" ბეჭდვას („როცა ოპტიმისტებს მიწის ფერი ადევთ").

გამომცემლობა „პლაკატმა" გამოსცა ალბომი „ვ. ი. ულიანოვი", რომელშიც თავმოყრილია რუსეთის სფსრ დამსახურებული მხატვრის ბ. ი. ლებედევის ნახატები. ამ ალბომზეა ლაპარაკი ვ. მოლჩანოვის წერილში — „უკეთესი დანიშნულება არ არის".

მეექვსე გვერდზე საკავშირო ინფორმაცია გამოქვეყნებულია რუბრიკებით — „გუშინ" და „სიახლენი".

ПРАВДА

კიროველთა დროშაზე ხალხთა მეგობრობის ორდენი აკიაფდა

ლენინგრადი, 17 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც ლენინგრადის ინდუსტრიის ფლაგმანისათვის — გაერთიანება „კიროვის ქარხნისათვის" ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას მიეძღვნა. „ოქტომბრის" დიდ საკონცერტო დარბაზში შეიკრიბნენ სახელმოხვეჭილი გაერთიანების, ლენინგრადის საწარმოების, სამეცნიერო ცენტრების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრების მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს მ. ა. სუსლოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს გ. ვ. რომანოვს, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებს, სოციალისტური შრომის გმირებს, გამოჩენილ მეცნიერებს, წარჩინებულ წარმოების მუშაკებს.

სიტყვა ეძლევა ამხ. მ. ა. სუსლოვს.

დღეს თქვენს მრავალათასიან კოლექტივს, თქვა მან, ღირსშესანიშნავი დღე დაუდგა. როგორც უკვე მოგეხსენებათ, ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში დიდი წვლილისათვის და საწარმოს დაარსების 175-ე წლისთავთან დაკავშირებით გაერთიანება „კიროვის ქარხანა" ახალი ორდენით დაჯილდოვდა. ახლა კიროვის ქარხნის დროშაზე ორ ლენინის ორდენთან, ოქტომბრის რევოლუციის ორდენთან, საბრძოლო და შრომის წითელი დროშის ორდენებთან ერთად იკიაფებს მეექვსე ორდენი — ხალხთა მეგობრობის ორდენი.

ჩემთვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თქვენი დეპუტატისთვის, განსაკუთრებით სასიამოვნოა შევასრულო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო დავალება — გადმოგცეთ ეს ჯილდო და სულითა და გულით მივულოცო გაერთიანების ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა.

ხალხთა მეგობრობის ორდენით საბჭოთა სახელმწიფო აჯილდოებს იმათ, ვისაც დიდი წვლილი შეაქვს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს განვითარებაში, ვინც განამტკიცებს საბჭოთა ხალხის ერთიანობას, მის შემოკავშირებას ლენინური პარტიის გარშემო. გაერთიანება „კიროვის ქარხანა" ჩვენი ქვეყნის პირველი საწარმოა, რომელსაც ეს მაღალი ჯილდო მიენიჭა. და ეს სავსებით კანონზომიერია. გაერთიანების მშრომელებს მრავალგზის დაუმტკიცებიათ თავიანთი უსაზღვრო ერთგულება კომუნიზმის იდეალებისადმი, მაღალი მოქალაქეობრიობა, სოციალისტური სამშობლოს სიყვარული და პროლეტარული სოლიდარობა, ინტერნაციონალიზმი. ღრმად სიმბოლურია ისიც, რომ თქვენს საწარმოში ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ 46 ეროვნების ადამიანები, რომლებიც ამაყობენ, რომ კიროველები არიან.

კიროვის ქარხანა, შემდეგ კი თქვენი გაერთიანება, ასახავენ პიტერის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისა და სოციალიზმის მშენებლობაში მისი თავდადებული შრომის სახელოვან ისტორიას.

პუტილოველები, როგორც წინათ თქვენი ქარხნის მუშებს უწოდებდნენ, მუდამ რევოლუციური ამბების წინა ხაზზე იყვნენ. კიროველი მუშები თავიანთი ქარხნის მთელი ისტორიის მანძილზე სოციალისტური რევოლუციის იდეალების ღირსეულად ერთგული იყვნენ.

სამოქალაქო ომის წლებში თავიანთი ქარხნის საამქროებში ისინი ჰქედნენ გამარჯვების იარაღს. ბევრი პუტილოველი ვაჟკაცურად იბრძოდა ფრონტებზე თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა წინააღმდეგ. უდიდესი გმირობა გამოიჩინეს კიროველებმა დიდი სამამულო ომის წლებში.

ფასდაუდებელი წვლილი, განაგრძო ამხ. მ. ა. სუსლოვმა, შეიტანეს თქვენი საწარმოს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

ამხ. მ. ა. სუსლოვი შეეხო კიროველთა მიერ მეცხრე ხუთწლედში მოპოვებულ წარმატებებს, აღნიშნა საწარმოს დამსახურება სოფლის მეურნეობის ტექნიკური განახლების შესახებ ლენინის ანდერძის შესრულებაში და თქვა, რომ ჩვენს ქვეყანაში განთქმულია მძლავრი ტრაქტორები, განსაკუთრებით 300 ცხენის ძალის სიმძლავრის კ-701 ტრაქტორი. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მას იყენებენ, მნიშვნელოვნად ზრდიან სამანქანო აგრეგატების მწარმოებლობას, ამცირებენ მინდვრის სამუშაოთა ჩატარების ვადებს, რასაც უხვი მოსავლის მიღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ ტრაქტორის შექმნისათვის თქვენი კოლექტივისადმი მადლობის გულთბილი სიტყვები გაისმა სკკპ XXV ყრილობაზე.

დიდად აფასებენ რა თქვენს ტრაქტორებს, სოფლის მეურნეობის მუშაკები გამოთქვამენ ზოგიერთ წინადადებას მათი სრულყოფის შესახებ.

სამეურნეო მშენებლობის ყოველ უბანზე მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის

(დასასრული მე-2 გვ.)

კიროველთა დროშაზე ხალხთა მეგობრობის ორდენი აკიაფდა

(დასასრული)

გიუმჭობესებისათვის ბრძოლა, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა შემოქმედებითი მეცადინეობის მთავარი მიმართულებაა. ასე განსაზღვრა ჩვენი ეკონომიური სტრატეგია პარტიის XXV ყრილობამ. ყრილობის მიერ დასახულ ამოცანას მხურვალედ დაუჭირა მხარი მთელმა საბჭოთა ხალხმა.

დღეს მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფერო, რომელშიც საბჭოთა ადამიანები ცხოვრობენ, გამსჭვალულია აღმშენებლობის სულისკვეთებით, პატრიოტული შემართებითა და ოპტიმიზმით. ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოხატულებას პოულობს სოციალისტური შეჯიბრების ახალი დიდი აღმავლობით. ლენინის ანდერძის ერთგული პარტია შეჯიბრების მონაწილე მილიონნახევარ მასებს უპირველეს ყოვლისა რაზმავს პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, სახსრების, მასალებისა და შრომითი რესურსების მომჭირნეობისათვის, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ეფექტიანი და სწრაფი დანერგვისათვის, შრომის ნაყოფიერების გაღიდებისათვის, ყველგან შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის საბრძოლველად.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველგან არ შექმნილა მაღალი შრომითი აღმფრენის, მკაცრი მომთხოვნელობის, მწყობრი მუშაობის ატმოსფერო. ეიუთ, აბხაზეთი, გულახდილი: თქვენთანაც ჯერ კიდევ დიდი სამუშაო დროის დანაკარგები, არამწარმოებლური ხარჯები, ნრის გაცდენებისა და საკუთარი მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევები.

კარგი, თქვა შემდეგ ამხ. მ. ა. სუსლოვმა, რომ კოლეგები ხედავს თავის რეზერვებს და წარმართავს მეცადინეობას მათი გამოვლენებისათვის. ეს ჩვენს წლევანდელ სოციალისტურ ვალდებულებებშიც აისახა. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თქვენ „კ-701“ ტრაქტორის მოტორესურსის გაღიდებას ითვალისწინებთ და განდაო დაამთავრო სამზადისი ამ ტრაქტორის ხარისხის ნიშანზე ატესტაციისათვის.

კარგი სახელი, რომელიც დამსახურებულად აქვს მოპოვებული ჩვენს ქვეყანაში კიროვის ქარხანას, თქვა შემდეგ ორატორმა, იზრდება და წლითიწლობით უნდა იზრდებოდეს კიდეც. უკანასკნელად თქვენ ორი წლის წინ გასტუმრეთ — მას შემდეგ არცთუ ისე დიდი ხანი გავიდა. მაგრამ ახლა, ისევ რომ ჩავიარე ქარხნის ტერიტორიაზე, შესაძლოა ახალი დიდი სასეკეთო ცვლილებების დანახვა: საამქროების ახალი კორპუსები, ახალი თანამედროვე ტექნიკა, უფრო სრულყოფილი წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია. გეგონება, ეს უძველესი საწარმო, რომლის 175 წლის იუბილესაც აღვნიშნავთ, თავისი წელთაღრიცხვის ყოველ წელს სულ უფრო ახალგაზრდავდებოდა. ეს თქვენი გარჯისა და იმ დახმარების და ზრუნვის შედეგია, რომელსაც კიროვის გაერთიანებისათვის დღენიადაგ იჩენენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებასთან ერთად კიროველები გვიჩვენებენ კოლექტივის სოციალური განვითარების საკითხთა სწორი გადაწყვეტის, მშრომელთა ჯანმრთელობის, ყოფა-ცხოვრებისა და კულტურული დასვენებისათვის ზრუნვის მაგალითს. ყოველივე ეს თვალსაჩინოდ ასახავს ჩვენი პარტიის განუხრელ ზრუნვას მშრომელებისათვის, ასახავს მის საერთო პოლიტიკას, რომლის უზენაესი მიზანია საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება. როგორც ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევმა თქვა მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნისათვის ორდენის გადაცემის დროს გამოსვლისას, „რა საქმესაც უნდა ყველაფერს პარტია, საგარეო-პოლიტიკური საქმეები იქნება ეს თუ სამინაო ხასიათის ღონისძიებები, ჩვენ, კომუნისტები მუდამ ვეკითხებით საკუთარ თავს: როგორ, რა გავლენას მოახდენს ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრა საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე, კომუნიზმისთვის აღმშენებლობითი შრომის მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფაზე, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაზე“.

სასიხარულოა ხედავდე, გრძნობდე, გესმოდეს, თუ რა გასაოცრად შეიცვალა ჩვენი სამშობლო, რა უდიდეს წარმატებებს მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ, მტკიცედ რომ მიიწევს კომუნიზმის გზით, რა ახალი შესანიშნავი პერსპექტივები გადაეშალა საბჭოთა ხალხის წინაშე, იმ ქვეყნის წინაშე, მსოფლიოში პირველმა რომ მოახდინა დიდი სოციალისტური რევოლუცია, რითაც დასაბამი მისცა მსოფლიო ისტორიის ახალ ეპოქას — სოციალიზმის ეპოქას.

უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით ომისთან დაკავშირებით, რომ ოკეანის გაღმა ამერიკის შეერთებული შტატების მე-200-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებანი მოეწყო, ფართოდ უდარებენ ერთმანეთს ორ მსოფლიო საზოგადოებრივ სისტემას: კაპიტალისტურს და სოციალისტურს. რას მოწმობს ობიექტური მეცნიერული შედარება? იგი მოწმობს სოციალისტური სისტემის უდაგო და უდადეს უპირატესობებს, მოწმობს, რომ მსოფლიოში განუხრელად იკვლება ძალების თანაფარდობა ამ სისტემის სასარგებლოდ, რომ სულ უფრო ძლიერდება სოციალიზმის იდეების გავლენა დედამიწის კონტინენტის ისეთ მილიონობით ადამიანზე.

იმპერიალიზმის სტადიაში შესვლის შემდეგ კაპიტალიზმი წლითიწლობით სულ უფრო რეაქციული ხდება. კაპიტალიზმის მთელ სისტემის დღეს დაუდგა საერთო კრიზისი, არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური და მორალური კრიზისიც. ხალხის ფართო მასები სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, თუ რა უიმედო მდგომარეობა აქვთ კაპიტალიზმის პირობებში. ამის გამო მუშათა კლასი და მშრომელთა სხვა ფენები სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებიან ამპერიალისტური ბურჟუაზიის ანტიხალხურ პოლიტიკას.

მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის ავანგარდში არიან კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომელთა მზარდი შეკავშირება ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციამ ცხადყო. ამ კონფერენციამ დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეაქციის წინააღმდეგ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის განვითარებაში. ევროპის კომპარტიებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისინი, მარქსს, ენგელსს, ლენინს დიდი იდეების საფუძველზე კვლავაც განავითარებენ ინტერნაციონალურ სოლიდარობას და თანამშრომლობას.

საბჭოთა ხალხი, აღნიშნა ამხ. მ. ა. სუსლოვმა, როცა აჩადებს ბრძოლას სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული შთამბეჭდავი გეგმების განხორციელებისათვის, უზრუნველყოფს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, თავისი ავთილდღეობის გაუმჯობესებას, კომუნიზმისაკენ წინსვლის დაჩქარებას. და დღეს, როცა ჩვენმა ქვეყანამ განვითარებული სოციალისტური საზოგადოება აშენა, საზოგადოებრივი გარდაქმნების, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფის ცენტრში, ისევე როგორც წინათ, დგას მუშათა კლასი, ჩვენი ქვეყნის მთავარი და ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასი.

ამხ. მ. ა. სუსლოვმა გამოთქვა რწმენა, რომ „კიროვის ქარხნის“ გვერდიანობის კოლექტივი ამაყად იყო ამ ... ეს ... ეს ... ...

ფაქტები. პრობლემები

მსოფლიოს ამბები

საქდესის კორესპონდენტები და უცხოეთის პრესის სააგენტოები იუწყებიან

თანამებრძოლთა მეგობრობა და ძმობა

„ფარი-76" წვრთნის რაიონში გამართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის, პოლონეთის ჯარის, საბჭოთა არმიისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო არმიის მეომართა მიტინგი, რომელიც ერთობლივი წვრთნის დამთავრებას მიეძღვნა.

მიტინგს დაესწრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით მყოფი საბჭოთა სამხედრო დელეგაციის სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტ-

მიტინგი „ფარი-76" წვრთნის რაიონში

ბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის მეთაურობით, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ვ. იარუზელსკი, სხვა ოფიციალური პირნი.

მიტინგი გახსნა წვრთნის ხელმძღვანელმა არმიის გენერალმა ვ. იარუზელსკიმ. მან განაცხადა, რომ წვრთნის მონაწილე შტაბებმა და ყველა მეომარმა დასახული ამოცანები ჩინებულად შეასრულეს. მოკავშირეთა ჯარებმა წვრთნის დროს გამოიჩინეს მაღალი საბრძოლო მზადყოფნა.

მიტინგზე გამოვიდა ამხ. ე. გერეკი. მან აღნიშნა, რომ „ფარი-76" წვრთნა იყო მოკავშირეთა არმიების ურთიერთმოქმედების სრულყოფის მორიგი ეტაპი, დიდი როლი შეასრულა სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროების განმტკიცებაში.

მიტინგზე გამოვიდნენ საბჭოთა არმიის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო არმიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის, პოლონეთის ჯარის წარმომადგენლები, რომლებმაც ყველა მეომრის სახელით სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიებსა და მთავრობებს, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობას აღუთქვეს, რომ მომმე არმიების მეომრები კვლავაც განამტკიცებენ სოციალისტური თანამეგობრობის თავდაცვის ძლიერებას.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, წვრთნის რაიონი (საქდესის კორ.).

ჯ. ფორდის გამოსვლა

ვაშინგტონი. (საქდესი). ჯ. ფორდმა მიჩიგანის უნივერსიტეტში წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ძირითადად ქვეყნის საშინაო მდგომარეობას მიეძღვნა.

მან განაცხადა, რომ მისი მთავრობის პოლიტიკის შედეგად უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შეერთებულმა შტატებმა „გადამწყვეტ შემობრუნებას მიაღწია თავის ისტორიაში ძნელი ომის, სამწუხარო ეკონომიური მარცხისა და პოლიტიკური კრიზისის შემდეგ".

ჩვენი თაობის ლამის მთელი ცხოვრების მანძილზე, თქვა ჯ. ფორდმა, ამერიკაში არეულობა და მღელვარებაა. ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელი მოკლეს. ამერიკის შეერთებული შტატები მონაწილეობდა ომში, რომელიც ვერც მოიგო, და ვერც შეწყვიტა; ჩვენი ქალაქების ქუჩებში და ჩვენს უნივერსიტეტებში იყო სისხლისმღვრელი მღელვარებათა შემთხვევები. ჩვენში მოხდა ინფლაცია, რომელიც ვერ დავიმორჩილეთ და განვიცადეთ უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე უველაზე დიდი დაქვეითება.

პრეზიდენტი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამ პრობლემებიდან ბევრი ახლაც რჩება. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ „ახლა მეტად ბევრ ახალგაზრდა ამერიკელს საშუალება არა აქვს სამუშაო იშოვოს და მიიღოს მომზადება, რომელიც საჭიროა კარგი სამუშაოს საშოვნელად". როგორც ცნობილია, უმუშევრობამ მოიცვა მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 7,9 პროცენტი, ანუ თითქმის 8 მილიონი კაცი.

მომავალ არჩევნებში რესპუბლიკელთა პრეზიდენტობის კანდიდატმა ამასთანავე განაცხადა, რომ ამ პრობლემების გადასაჭრელად „კონკრეტულ საქმეებს უნდა მოჰკიდონ ხელი". მაგრამ ამ წინადადებებს, რომლებიც ჯ. ფორდმა წამოაყენა, აშკარად არჩევნებისწინა კამპანიის დაღი ემჩნეოდათ და არსებითად ამოიწურა მთავრობის უკვე გამოცხადებული პროგრამების ჩამოყალიბებით, რომლებმაც, როგორც ცნობილია მოსალოდნელი ნაყოფი ვერ გამოიღეს.

პრეზიდენტის მოლაპარაკება

ვაშინგტონი. (საქდესი) თეთრ სახლში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. ფორდს მოლაპარაკება ჰქონდა ჩრდილოატლანტიკური კავშირის გენერალურ მდივანთან ი. ლუნსთან, რომელიც ნატოს საბჭოს დელეგაციის მეთაურად ჩამოვიდა აქ. საუბრის დროს, როგორც პრესკონფერენციაზე, თქვა ლუნსმა განიხილეს ნატოსათვის საინტერესო ბევრი საკითხი, მათ შორის ამ ბლოკის სამხრეთი ფრთის მდგომარეობა, აფრიკაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰ. კისინჯერის ჩასვლა, ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა.

ვითარება ლიბანში

მთავრობის რეორგანიზაცია

ბეირუთი, (საქდესი) ლიბანის სხვადასხვა ფრონტზე რამდენადმე შესუსტდა საბრძოლო მოქმედება. ყველაზე დიდი დაძაბულობაა ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც გრძელდება არტილერიისა და ნაღმსატყორცნების სროლა. ჩრდილოეთ ლიბანის ქალაქ ტრიპოლიში და მის სანახებში განლაგებული პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკი ბადაუი და ნაჰრელ ბარიდი მეოთხე თვეა ალყაშემორტყმული ჰყავთ მემარჯვენე ქრისტიანულ ძალებს, რომლებიც ჯიუტად ცდილობენ იერიშით აიღონ ეს ადგილები.

დაძაბულობაა აგრეთვე ლიბანის დედაქალაქის აღმოსავლეთით მთიან რაიონებში. მემარჯვენე ქრისტიანული ძალები იქ ახალ ქვედანაყოფებსა და მძიმე არტილერიას გზავნიან. ბეირუთში შედარებით სიმშვიდეა.

პოსტიდან გადადგომამდე ერთი კვირით ადრე პრეზიდენტმა ს. ფრანჟიემ მთავრობის რეორგანიზაცია მოაწყო, რამაც უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ლიბანის მთავარ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის. რეორგანიზაციის შედეგად თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების პოსტები, რომლებიც პრემიერ-მინისტრ რ. კარამეს ეკავა, გადაეცეს ეროვნულ-ლიბერალური პარტიის ლიდერს კ. შამუნს, რომელმაც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიც დაიტოვა.

ბეირუთის პრესამ, თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და პარლამენტის დეპუტატებმა დაგმეს ფრანჟიეს ეს ნაბიჯი და უკანონოდ მიიჩნიეს იგი, რადგან შეთანხმებული არ იყო პრემიერ-მინისტრ კარამესთან, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთაა.

კარიკატურისტის კომენტარი

ისრაელი შეუდგა სამხრეთ ლიბანის რაიონების ოკუპაციის გეგმების განხორციელებას. ამ აგრესიულ აქტს მხარს უჭერენ ლიბანის მემარჯვენე ძალები (გაზეთებიდან).



ისრაელის... მარჯვენა

ბ. ლომიძის ნახატი.

ეს საინტერესოა

ექსპერიმენტი უდაბნოში

როგორც ახალი ამბების სააგენტოს დამასკოელი კორესპონდენტი იუწყება, იაპონიის უდაბნოთა ინსტიტუტსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება საინტერესო ექსპერიმენტის განხორციელების თაობაზე. მეცნიერებმა წამოაყენეს წინადადება, რომ არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში ნიადაგში ტენის შესანარჩუნებლად დაახლოებით ერთ მეტრ სიღრმეზე დააგონ ასფალტის სამმილიმეტრიანი ფენა. თუ ცდა, რომელიც მცირე ფართობზე ტარდება, სასურველ ნაყოფს გამოიღებს, ამჟამად გამოუყენებელი ათასობით ჰექტარი უდაბნო შეიძლება მწვანედ მობიბინე ხალიჩებად გადაიქცეს.

საქდესი

ტელეტაიპის ლენტიდან...

დაამტკიცეს 1977 წლის ბიუჯეტი

● **ვაშინგტონი.** სენატის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა 1977 საფინანსო წლის ფედერალური ბიუჯეტი 413,1 მილიარდი დოლარის ოდენობით. კანონმდებელთა მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის ნაწილი 50,6 მილიარდ დოლარ დეფიციტს ითვალისწინებს.

გაფიცვა გრძელდება

● **მაპუტუ.** მეხუთე დღეა გაფიცვას განაგრძობენ კეიპტაუნის აფრიკელი და „ფერადკანიანი" მშრომელები. სამუშაოზე არ გამოსულან დოკერები, მშენებლები, კვების და მრეწველობის სხვა დარგების მუშები. გაფიცულები მოითხოვენ, რომ გააუქმონ ქვეყანაში აპარტეიდის სისტემა, შეწყვიტონ პოლიციური რეპრესიები, გაათავისუფლონ ყველა, ვინც დააპატიმრეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელი და „ფერადკანიანი" მოსახლეობის მასობრივი გამოსვლების დროს, რომლებიც შუა ივნისიდან გრძელდება.

მთავრობის გადაწყვეტილება

● **ნიქოზია,** აქ გამართა კვიპროსის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და კვიპროსელი ლტოლვილების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

მოიწონეს ნიქოზიასა და ლიმასოლს შორის ახალი საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობის პროექტი.

საშიში გეგმები

რისთვის მოგზაურობს ჰ. კისინჯერი აფრიკაში

დარ-ეს-სალამი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჰ. კისინჯერს, რომელიც აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში მოგზაურობს, დარ-ეს-სალამში მოლაპარაკება ჰქონდა ტანზანიის პრეზიდენტთან ჯ. ნიერერესთან.

როგორც ადგილობრივი პრესის კომენტარებიდან და ამერიკული გაზეთების იმ კორესპონდენტთა ცნობებიდან ჩანს, რომლებიც თან ახლავან ჰ. კისინჯერს, სახელმწიფო მდივანმა, რომელიც ზამბიას უნდა ეწვიოს, შემდეგ კი მოლაპარაკება გამართოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეჟიმის მეთაურთან ფორსტერთან, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ხელსაყრელად უნდა გადაწყვიტოს როდეზიისა და ნამიბიის პრობლემები, რათა გადაარჩინოს ამ რაიონში რასიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ბასტიონები. როგორც ცნობილია, 31 აგვისტოს გაიღდა ჯადა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დაუნიშნა პრეტორიის რეჟიმს, რათა მან ნამიბიის ტერიტორიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით და კონტროლით მოეწყო არჩევნები და გაეყვანა აქედან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარები. ახლა შეერთებული შტატები ცდილობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჩამოართვას ეს საკითხი და განიხილოს იგი დასავლეთ ევროპის კონფერენციაზე, სადაც ვაშინგტონი „შინაურულად" შეძლებდა თავისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას. როგორც ირკვევა, ბინებიან, ერთ-ერთ ვარიანტად ნავარაუდევია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თანხმობით 1978 წლის დამლევისათვის შექმნან „დამოუკიდებელი" ნამიბია.

როდეზიის მიმართ, როგორც პრესა წერს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინგლისთან ერთად შეიმუშავა გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა ამ ქვეყანაში „უსისხლო რევოლუციას" და ძალაუფლების გადაცემას მარიონეტული პროდასავლური მთავრობისათვის.

ამერიკული წრეები არ მალავენ, რომ ამ გეგმების მიზანია არ დაუშვან აფრიკის სამხრეთის „რადიკალიზაცია", სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელი შეუშალონ ამ რაიონში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდას.

აფრიკელი ხელმძღვანელები უნდობლად ეკიდებიან ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივას კონტინენტის სამხრეთის პრობლემების „მოწესრიგების" დარგში. თანაც, აღნიშნავენ აქ, ვაშინგტონს ურჩევნია ჯერ საკუთარ სახლში გადაწყვიტოს მწვავე რასობრივი პრობლემები და მერე „დაეხმაროს" ამ საქმეში აფრიკის ქვეყნებს.

ჰ. კისინჯერთან შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ჯ. ნიერერემ განაცხადა, რომ როდეზიაში განმათავისუფლებელი ომი სრულ გამარჯვებამდე გაგრძელდება და რომ ფიქრიც კი ზედმეტია სოლსბერის რეჟიმთან მოლაპარაკებაზე.

დედაქალაქის ახალი სახელწოდება

ანტანანარივუ. (საქდესი). ანტანანარივუ — ასე ეწოდება ამიერიდან მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქს, ნათქვამია ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში. დედაქალაქის წინანდელი სახელწოდება — ტანანარივე დაკავშირებული იყო კოლონიალური დაპყრობის ეპოქასთან და მალაგასიური სახელწოდების დამახინჯებულ ვერსიას წარმოადგენდა: ანტანანარივუ ქართულად ნიშნავს „ათასი მეომრის ქალაქს".

ფოტოინფორმაცია

გ.ფ.რ. დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობა შეშფოთებულია ნეოფაშისტურ დაჯგუფებათა აშკარა მოქმედებით. ოფიციალური მონაცემების თანახმად, შარშან აქ აღრიცხული იყო 148 ნეონაცისტური და მემარჯვენე ექსტრემისტული ორგანიზაცია — 24 პროცენტით მეტი, ვიდრე 1974 წელს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღიარა, დასავლეთ გერმანიაში „ნაციონალ-სოციალიზმისათვის ასე აშკარად არასოდეს შეუხამთ ხოტბა გამოსვლებში, ბროშურებსა და სხვადასხვა აქციის დროს, როგორც ეს ახლა ხდება".

სურათზე: მაინის ფრანკფურტის ქუჩებში ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ნეონაცისტებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, რომელსაც პოლიციის გაძლიერებული რაზმები იცავდა.

საქდესის ფოტო.

---

100 წლის წინათ, 1876 წელს ბავარიის პატარა ქალაქ ბაიროითში პირველად აიხადა ფარდა სპეციალურად აშენებულ თეატრში, რომლის სცენაზეც წარმოდგენილ იქნა რიხარდ ვაგნერის ტეტრალოგია „ნიბელუნგების ბეჭედი". განვლილი 100 წლის მანძილზე დღემდე ამ თეატრში იდგმება მხოლოდ ვაგნერის ოპერები.

საიუბილეო თარიღს მიეძღვნა დიდი, ფართოდ მოფიქრებული მუსიკალური ფესტივალი, რომელიც გაიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში და რომლის ცენტრსაც, ცხადია, საკუთრივ ბაიროითი წარმოადგენდა.

ფესტივალზე გაემგზავრა საბჭოთა მუსიკოსების ჯგუფი, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც იყვნენ. მგზავრობის დროს მიღებული შთაბეჭდილებები ფრიად მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. ლამაზი, მომხიბლავი ბუნება — განსაკუთრებით, რაინის სანაპიროს გასწვრივ, ისტორიული სიძველენი, დიდებული მუზეუმები, არქიტექტურული ძეგლები და ბევრი რამ სხვა, მაგრამ, ჩვენ, ცხადია, ყურადღებას გავამახვილებთ ჩვენი შთაბეჭდილებების მუსიკალურ ნაწილზე.

ჩვენი მოგზაურობა დაიწყო მიუნხენიდან, სადაც დასასრულს უახლოვდებოდა საოპერო ფესტივალი. ეს ქალაქი, ქვეყნის უმთავრესი მხატვრული ცენტრია თავისი დიდი თეატრალური და მუსიკალური ტრადიციებით.

საოპერო თეატრი — საუკეთესოა დასავლეთ გერმანიაში. აქვე მოქმედებს 4 სიმფონიური ორკესტრი.

ფესტივალის დასკვნით დღეს სცენაზე წარმოდგენილ იქნა ვერდის უკანასკნელი ოპერა „ფალსტაფი". თეატრის დიდებული დარბაზი სავსე იყო. სპექტაკლს ესწრებოდნენ დასავლეთ გერმანიის მუსიკალური საზოგადოებრიობის გამოჩენილი წარმომადგენლები, უცხოელი სტუმრები, მათ შორის სვიატოსლავ რიხტერი თავის მეუღლესთან მომღერალ ნინა დორლიაკთან ერთად. სპექტაკლს ვაგნერის და ვერდის ოპერების ცნობილი ინტერპრეტატორი — ვოლფგანგ ზავალიში დირიჟორობდა.

ჩვენი „მუსიკალური მოგზაურობის" მთავარი პუნქტი — ბაიროითი — კარგი, ლამაზი ქალაქია. სწორედ აქ, 1872 წ. დაიწყო და 1876 წ. დამთავრდა სპეციალური თეატრის მშენებლობა ვაგნერის ოპერების დასადგმელად (არქიტექტორი ო. ბრიუკვალდი). თეატრის დარბაზში 2000 ადგილია და იგი ბრწყინვალე აკუსტიკით გამოირჩევა. დარბაზი ამფითეატრივით არის განლაგებული, ლოჟები და იარუსები თეატრს არ გააჩნია, ორკესტრი კი სცენის ქვეშ არის.

აქვე შევნიშნავ, რომ ბაიროითში არის მეორე, „ჩვეულებრივი" საოპერო თეატრიც — ე. წ. „მარკგრაფის ოპერა" ტრადიციული რეპერტუარით. დღეს, ისე როგორც 100 წლის წინათ ბაიროითი პატარა პროვინციული ქალაქია, მაგრამ ის გარემოება, რომ აქ ყოველწლიურად იმის შეტყობა, რომ გამოჩენილი რეჟისორი თურმე დასწრებია საარბრიუკენში ქართული ხელოვნების დეკადას, რასაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. თბილისის ახალი საოპერო თეატრისათვის კი მას უჩუქნია უნიკალური გასანათებელი აპარატურა, ისეთივე, როგორიც დგას ბაიროითის თეატრში.

ამავე დღეს დავათვალიერეთ ვაგნერის სახლ-მუზეუმი, რომელსაც თვით კომპოზიტორმა უწოდა „ვანფრიდი" — ე. ი. „დამშვიდებული ოცნებაა". იქ სხვა ძვირფას ექსპონატებთან ერთად ინახება „ტრისტან და იზოლდას" და „პარსიფალის" ხელნაწერები.

მოვინახულეთ ვაგნერის საფლავიც მისი სახლის ეზოში.

მუსიკის უკვდავება

ვაგნერს მიეძღვნა

ბაიროითში, ფესტივალზე

ზაფხულის თვეებში მსოფლიოს საუკეთესო საშემსრულებლო ძალების მონაწილეობით ვაგნერის ოპერების წარმოდგენები იმართება, მას ევროპის მნიშვნელოვან მუსიკალურ ცენტრად ხდის. ბილეთები წარმოდგენებზე ერთი წლით ადრე იყიდება. ბუნებრივია, რომ ქალაქში გამეფებულია ვაგნერის კულტი. ყოველ ნაბიჯზე ხედავთ ვაგნერის პორტრეტებს, სკულპტურებს, ათასგვარ პლაკატებს.

დღისით ვეწვიეთ ბაიროითის თეატრს, სადაც მიგვიღო და თეატრი დაგვათვალიერებინა მისმა დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა გენიალური კომპოზიტორის შვილიშვილმა, 56 წლის ვოლფგანგ ვაგნერმა, რომელიც საოცრად ჰგავს თავის პაპას. უნდა ვაღიარო, რომ ამ მომხიბლავ, ძალზე ენერგიულ ადამიანთან საუბარმა არაჩვეულებრივი სიამოვნება მოგვანიჭა, ვიდრე თვით ლეგენდარული თეატრის დათვალიერებამ. სასიამოვნო სიურპრიზი იყო ჩვენთვის

სულ სხვა ხასიათის, მაგრამ ასევე ძალიან საინტერესო შთაბეჭდილებები მივიღეთ პატარა ქალაქ ნოიბურგში გამართულ სახალხო მუსიკალურ დღესასწაულზე. როდესაც ჩვენი ავტობუსი ნოიბურგის ვიწრო ქუჩებში გზას მიიკვლევდა, საერთო გაკვირვება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ გარშემო ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, ქალაქი მთლად დაცარიელებული ჩანდა. თურმე მთელი 10 ათასიანი მოსახლეობა გასულა გარეუბანში, სადაც მიმდინარეობდა დღესასწაული. იქ კი ხალხის ჟრიამული ცას სწვდებოდა. ჩვენს საპატივცემულოდ სასულე ორკესტრმა დააგუგუნა საბჭოთა კომპოზიტორების მელოდიებზე აგებული პოპური. სალამოს კი დავესწარით ადგილობრივი სიმფონიური ორკესტრის კონცერტს, მოვისმინეთ ჰაიდნისა და მოცარტის ნაწარმოებები.

ჩვენი მუსიკალური შთაბეჭდილებები ამით არ ამოიწურა. ქალაქ კიოლნში დავესწარით მესას, რომელიც გაიმართა გრანდიოზულ, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე განთქმულ ტაძარში. ეს უნიკალური ნაგებობა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

ქალაქ ბონში მოვინახულეთ გენიალური კომპოზიტორების ბეთჰოვენისა და შუმანის სახლ-მუზეუმები, პირველი, როგორც ცნობილია, დაიბადა, მეორე კი გარდაიცვალა ბონში. ძნელი არ არის წარმოიდგინოს ადამიანმა, რამდენი ძვირფასი რელიკვიაა აქ დაცული, რომელთა ხილვა ყოველი მუსიკოსისათვის საოცნებოა.

მთელი ჩვენი მოგზაურობის მანძილზე საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს პატივისცემითა და კეთილი განწყობით გვეკიდებოდნენ. ბაიროითში და ნოიბურგში მიღება გაგვიმართეს იმ ქალაქების ბურგომისტრებმა. სხვა ქალაქებში — მაგისტრატურის კულტურის განყოფილებებმა. შეხვედრები გვქონდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წევრებთან. ორივე მხრიდან ბევრი გულთბილი, მეგობრული სიტყვა ითქვა ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის სარგებლობასა და ჰუმანურ დანიშნულებაზე.

სალამოს ჩვენი ჯგუფის ერთი ნაწილი დაესწრო ოპერა „რაინის ოქროს", მეორე ჯგუფს კი უჩვენეს ფერადი ფილმი — ოპერა „მაისტერზინგერები".

„რაინის ოქროს" დირიჟორობდა ცნობილი თანამედროვე ფრანგი კომპოზიტორი და დირიჟორი პიერ ბულეზი. სპექტაკლის მუსიკალური მხარე უაღრესად მაღალი იყო, როგორც ეს ეკადრება ვაგნერის თეატრს. რაც შეეხება დადგმასა და, განსაკუთრებით, მხატვრულ გაფორმებას, იმან ერთგვარად უკმარისობის გრძნობა აღძრა მოძველებული ბუტაფორიულობის ულტრათანამედროვე „პირობითობათა თეატრის" ხერხებთან პარადოქსული შეხამებით.

გაზეთებიდან შევიტყვეთ, რომ „ნიბელუნგების ბეჭდის" წლევანდელმა დადგმამ ვაგნერის მუსიკის თაყვანისმცემლების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რის ნიშნად მათ დემონსტრაციაც კი გამართეს თეატრის შენობის წინ.

გ. ტორაძე.

შენთან, მამულო!

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის მოწვევით ამ ზაფხულს საქართველოში ჩამოვიდნენ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ბავშვები — ტარიელ და ირაკლი მელიავები (საფრანგეთიდან), ნინო პეკურიძე, ქრისტეფორე (ბაჩუა) კირკიტაძე და გერჰარდ გელაშვილი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან).

ქართველ ბავშვებს თან ახლავენ უფროსები: პარიზელი სესილი რუხაძე და მიუნხენელი ტერეზა კირკიტაძე.

წერილი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, გვაცნობს ჩვენს თანამემამულეებს და მათ მიერ საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებს.

ისინი ხუთნი არიან — საფრანგეთიდან და დასავლეთ გერმანიიდან სტუმრად ჩამოსული ნორჩი ქართველები; უფროსი მეგზურებიც ახლავთ — მადმუაზელ სესილ რუხაძე და ფრაუ ტერეზა კირკიტაძე.

სასტუმრო „ივერიის" ჰოლში ვუსხედვართ დაბალ მაგიდას.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე ოთარ გიგინეიშვილი, ვითარცა ყველა კარგი მასპინძელი, ისე თავისუფლად და ბუნებრივად წარმართავს საუბარს, რომ თავიდანვე სრული ურთიერთგაგებისა და გულითადობის ატმოსფერო მყარდება.

სესილ რუხაძე, რომელსაც ეტყობა თავისი ქართულის იმედი ჯერ კიდევ არა აქვს, ფრანგულად საუბრობს. პარიზში დაბადებულ და გაზრდილ ქალიშვილს წარუხოცლად შერჩენია ქართველი ქალის გამოსარჩევი იერი და თვისებები. მის მოგრძო, სწორნაკვთებიან სახეს საოცრად აცოცხლებენ გაფრენილი წარბების ქვემოდან მორიდებით მომზირალი დიდი შავი თვალები. ჩაცმულობა და თავდაჭერილი მანერები გაფიქრებინებენ, რომ სესილს მაინცა და მაინც დიდად არ აინტერესებს ყოველმხრივ ჰგავდეს თანამედროვე პარიზელი ლამაზმანის სტერეოტიპს. შეიძლება ითქვას, ეს ახალგაზრდა ქალი უკვე გულით შეზრდია დედა-სამშობლოს. სხვა თუ არაფერი, მას პარიზში უკვე „რძლად უზის თბილისელი ქალი და ამდენად ჩვენს დედაქალაქში ნათესავებიც ჰყავს.

უფროსების საუბარს ყურადღებით ისმენენ ძმები მელიავები: 13 წლის ტარიელი და მასზე ორი წლით უმცროსი ირაკლი. მაგრამ მალე ბავშვური მოუთმენლობა მოეძალათ, რაც ყველაზე ადრე გაამჟღავნა სავარძელში აწრიალებულმა უმცროსმა ძმამ. და როცა ბიჭებს რამდენიმე ტრადიციული კითხვით მიემართეთ, ხალისითანად ჩაებნენ საუბარში. ტარიელი, ეტყობა, თავს უკვე თითქმის სრულწლოვნად თვლის და ცდილობს დინჯად, სიტყვის აწონ-დაწონით ილაპარაკოს. ირაკლი კი საოცრად მოძრავია და ემოციური.

— ბაკურიანი, ოო! — ბიჭს სხივიანი დიდი თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა. — პირდაპირ ფანტასტიკურია!

ეს შთაბეჭდილება ზერელედ, თვალის ერთი გადავლებით როდია მიღებული. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ბავშვებმა რამდენიმე კვირა დაჰყვეს ჩვენთან. თანაც მათ მოსაწვევად ზაფხული შეირჩა, რათა არდადეგების პერიოდში საშუალება მისცემოდათ იხილონ, უშუალოდ გაეცნობოდნენ დედა-სამშობლოს მთა-ბარს, მისი ხალხის ცხოვრებას, თანატოლთა სულიერ ინტერესებსა და მისწრაფებებს. საამისოდ ზედგამოჭრილი აღმოჩნდა ბავშვთა საზაფხულო ბანაკი თავისი დინამიკური, მჩქეფარე ცხოვრებით.

და აი ახლა, სასტუმროს ჰოლში, ტარიელი და ირაკლი ჰყვებიან, თუ რით მოეწონათ ეს მხარე, ბანაკში გატარებული დღეები.

— განსაკუთრებით ვის დაუმეგობრდით? — ირაკლიმ მარცხენა ხელი ასწია და თითების კეცვა-კეცვით ჩამოჰყვა, — გოჩას, ქუთაისელ ბიჭს... კიდევ ზურიკოს, ნიკას, ლერის... უბის წიგნაკში ძალიან ბევრის სახელი და მისამართი მაქვს ჩაწერილი.

— თანაც ყველანი შინ გვეპატიჟებიან, — დაუმატა ტარიელმა. — არ ვიცი, როდის მოვასწრებთ!

— საინტერესო ის იყო, — სიცილით ერევა საუბარში ოთარ გიგინეიშვილი, — რომ იმ ორი აქაური ბიჭიდან, პარიზელ ტარიელთან და ირაკლისთან რომ ცხოვრობდნენ ოთახში, ერთს როგორ რქმევია.

— რომელიც კარგი ბიჭია! — დასძინა ირაკლიმ.

— თუ იცით, თქვენი სახელი საიდან მოდის? — ვეკითხებით ტარიელს.

— რუსთაველთ! — მოკლედ მოჭრა მან.

— ირაკლი? — ახლა უმცროს ძმას გადავხედეთ.

— ჩვენი დიდი გმირის სახელია! — არ ვიცი სიტყვა „ჩვენი" მან შემთხვევით წარმოთქვა თუ გააზრებულად, მაგრამ ხმაში აშკარა სიამაყე იგრძნობოდა. — ის ადგილიც მიჩვენეს, სადაც მტერი დაუმარცხებია... რა ჰქვია? — მიუბრუნდა ძმას.

— ასპინძა!

— ჰო, ასპინძა!

— ვარძიაშიც ვიყავით, — ჩაურთავს სიტყვა ტარიელმა. — განუმეორებელია!... ქალაქებიდან, რომლებიც კი მინახავს, თბილისი არაჩვეულებრივად მომწონს. საქართველოს ბუნება ძალიან მომწონს... განსაკუთრებით მთის მხარე.

— ბუნება, მოგეხსენებათ, საფრანგეთსაც კარგი აქვს, — ჩაურთო სესილმა. — მაგრამ იქ ისეთი ადგილები, სადაც ბუნების სრულ განცდას შეიძლება მიეცე, ძალიან ცოტაა. აქ კი სხვაა... ეტყობა, ხალხი უფრთხილდება, იცავს...

შემდეგ საუბარი ზღვისპირეთზე გადადის, გაგრაში გატარებული დღეების შთაბეჭდილებებზე. მომწვევ-მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ უცხოეთში დაბადებულ ქართველ ბავშვებს თავი ყოველმხრივ მშობლიურ გარემოში ეგრძნოთ, სრულფასოვნად დაესვენათ, ჯანმრთელობა გაეკაჟებინათ. სწორედ ამ მიზნით გადაინაცვლეს მთის ბანაკიდან ზღვისპირეთში, გაგრის ერთ-ერთ სანატორიუმში.

ყველგან, ბაკურიანის მთებში თუ შავიზღვისპირეთში, ხალხის საერთო ყურადღება და მზრუნველობა მოსავდათ. ვინც კი მათ სადაურობას გაიგებდა, გულის სითბოს არ ზოგავდა, სიტყვით თუ საქმით ცდილობდა საკუთარი მოვალეობის მოხდას. ყოველივე ამაზე პარიზელი ბიჭები ღრმა კმაყოფილებითა და გულმხურვალე მადლობით ლაპარაკობენ. სხვანაირად, ალბათ, არც შეიძლება. ადამიანის არსება ხომ მშობლიურობის გრძნობას ყველაზე უშუალოდ და ღრმად ადრეულ ასაკში იერთებს. ხოლო ის, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების"...

ირაკლისათვის გაგრაში დაბადების დღეც გადაუხდიათ; ჩვეულებრივად, ქართველურად. ტრადიციული ტორტი და სანთლებიც კი ყოფილა... ირაკლის ემახსოვრება, რომ პირველად გასწია თამადობა და ისიც საკუთარი დაბადების დღეს.

— თამადა. — წარმოთქვა ტარიელმა უფროს-ძმური ირონიით. — როცა რამდენიმე სიტყვის გადაბმაც გიჭირს!

— ოცდაათამდე სიტყვა უკვე ვიცი, — იმტკიცებს არ იტეხს ირაკლი, — დღეში თითო სიტყვა გამოდის... მორიგ ჩამოსვლაზე უფრო სწრაფად წავა საქმე... აი, ნახავ!

ნათქვამის სისწორეში რომ დაგვარწმუნოს, უკვე ნასწავლ ქართულ სიტყვებს იხსენებს:

— „გამარჯობა!"... „როგორა ხარ?"... „სად მიდიხარ?", „ხელი", „ფეხი"... „თავი"... „არ შემიძლია"...

— ეს ძალიან საჭირო გამოთქმაა, როცა ჭამა-სმას გაძალებენ! — ეცინის ტარიელი და უმალ სერიოზულ სახეს ღებს. გადაწყვეტილი გვაქვს ქართულის საფუძვლიანად შესწავლა საფრანგეთში განვაგრძოთო.

მასპინძელი ბიჭებს აქვე ჩამოუთვლის, თუ საზოგადოებამ რა სახის წიგნები გამოსცა იმათ დასახმარებლად, ვისაც ქართული ენის შესწავლა აინტერესებს. ყოველმხრივ დახმარებას ჰპირდება.

— ცეკვაც ვისწავლეთ!

— და ვიგრძენით, რომ ნამდვილი ქართველები ვართ, — დასძინა ტარიელმა.

— ცოტა... ისე... „სულიკოსაც" ვმღერით! — ირაკლის სახეს უცებ ეშმაკური ღიმილი ეფინება, — ოღონდ აქედანვე იცოდეთ, როცა სიმღერას დავაპირებ, ყურები თითებით მაგრად დაიცავით.

ყველანი ვიცინით.

— ცეკვაც კარგია და სიმღერაც, — ვეუბნებით ბიჭებს, — მაგრამ ქართველი კიდევ ერთი რამით იცნობა. გამოგვიტყდით, ლექსებსაც ხომ არ წერთ?

— არა! — ხელები გაასავსავა ტარიელმა, — თუმცა კი სულით, მგონი, პოეტი ვარ. — შემდეგ უმცროს ძმას გადახედა, ვითომდა გამქირდავად. — ირაკლი კი ნაღდად წერს, სამი თუ ოთხი წელია.

ეტყობოდა, ბიჭმა საყვედურის თქმა დააპირა მისი საიდუმლოს გამჟღავნებისათვის, მაგრამ სესილის სიტყვებმა ერთბაშად დააშოშმინა:

— არც არის გასაკვირველი. ირაკლის პაპა ხომ გვარიან ლექსებს წერდა.

ცხადია, ირაკლის მაშინვე ვთხოვეთ ერთი რომელიმე ლექსის წაკითხვა. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ დაგვეთანხმა — ნომერში ავალ, ჩემს უბის წიგნაკს ჩამოვიტანო, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, სავარძლიდან წამოსრიალდა, დაბალ მაგიდასთან ჩაიმუხლა და ჩვენს უბის წიგნაკში ფრანგულად ჩაწერა ქართველი მეგობრებისადმი მიძღვნილი ლექსის ერთი სტროფი. აი მისი თარგმანიც:

„ნახვამდის, ძმებო და
მეგობრებო,
არსად, არასდროს
დამავიწყდებით,
გულამაყება ჩვენც თქვენთან
ერთად,
რომ სისხლით, ხორცით ვართ
ქართველები!"

შემდეგ იყო ლაპარაკი საფრანგეთზეც, მის თავისუფლებისმოყვარე და გულღია ხალხზე, პა-

(დასასრული მე-4 გვ.)



შეენთან, მამეულო!

(ლასასრული).

რიზზე, მის მეზობლებზე და ისევ და ისევ საქართველოზე.

— ჩვენს ოჯახში უფროსები სულ საქართველოს ხსენებაზე იყვნენ, — ამბობს ტარიელი. — მეც ვცდილობდი წარმომედგინა სამშობლო, მაგრამ მიჭირდა. ახლა ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახეთ. საქართველოს ვერაფერი დაგვავიწყებს.

— ჩვენ კიდევ მრავალგზის ნამოგალთ, — კვერს უკრავს ირაკლი. — გაისად ბათუმს უნდა ვესტუმროთ.

ეს მარტო უბრალო ინტერესი როდია, მოვალეობაც არის. საქმე ის არის, რომ ტარიელისა და ირაკლის პაპის ფერფლი ბათუმის მიწაში განსვენებს. ეს ადამიანი თითქმის მთელი სიცოცხლე უცხოობაში იტანჯებოდა, სული სამშობლოს ნატვრაში დალია, ანდერძისამებრ, შვილებმა მისი ფერფლი საქართველოს მიწას მიაბარეს.

დასასრული გერმანიიდან ჩამოსული ჩვენი თანამემამულეების ჯგუფს სასტუმროს ნომერში ვეწვეოთ. კარებში შემოგვეგება ძოხბილავი გარეგნობის დარბაისელი ქალი ტერეზა კირკიტაძე და ცამეტი-თოთხმეტი წლის ქალიშვილი, რომელმაც ხელი გამოგვიწოდა და ქართულად გვითხრა:

— მე ვარ ნინო პეკურიძე!

ქართველების რძალი იმდენად კარგად ლაპარაკობს ჩვენს ენაზე, რომ მთარგმნელის შუამავლობა თითქმის არ დაგვჭირვებია.

— სად ისწავლეთ, ქალბატონო ტერეზა, ასე კარგად ქართული? — ვერ ვფარავთ გაოცებას.

— მუხურაში, ჩემი ბატონო, — თავისებური, წამერებული აქცენტით მოგვიგო ქალმა. — დედამთილთან, მამამთილთან.

ენაწყლიანი, ხალისიანი თანამოსაუბრე აღმოჩნდა. დაწერილებით ყვება საქართველოში პირველი ჩამოსვლის ამბავს. ჩვენდა გასაოცრად, ხატოვანი ენით, თანაც ცოტა ზემოიმერულად უქცევს.

— რა ჩიტი და რა მე, ბატონო, — იღიმება გერმანელი ქალი. — როგორ გითხრათ... ჰო, გუმპნით მოვფრინავდი... ხმის გამცემი არავინ მყავდა... გულში პატარა შიში მაქ... გზა არ ვიცი, კვალი არ ვიცი... სად მივდივარ, ჯრ ვიცი... ვისთან მივდივარ, არ ვიცი...

იხსენებს ქუთაისის აეროდრომზე დაშვებას, ირწმუნება და ჩვენც დაგვაჯერა, რომ თავისიანები, უპირველესად კი მამამთილი, ერთი შეხედვით იცნო.

— მაშინათვე ვიფიქრე, ბატონო, ვინ არის ეს მაღალი, ლამაზი ქაღარა ვაქაცი, თავზე კრაველის ქუდი რომ ხურავს... ეს ჩემი მამამთილი იქნება-მეთქი... ისე ღმერთმა აგიხდინოთ ყველაფერი!

ქართველის უცოდინარი უცხოელი ქალისათვის კარგი სამსახური გაუწევია ზემო იმერეთის მაყურებრ, ლამაზ სოფელში მოხვედრას. ერთ თვეში ენა ვეფარანად გაუტეხავს.

— ქართველები ძალიან მომეწონა. საქართველო სულ მომეწონა, — ამბობს ქალბატონი ტერეზა და ეს სიტყვები მას საქმით აქვს განმტკიცებული.

ამასობაში კარი ორმა ჭაბუკმა შემოაღო. ერთი მათგანი ქალბატონ ტერეზას უმცროსი ვაჟიშვილი აღმოჩნდა — ქრისტეფორე, მეორე კიდევ კახელი გელაშვილის ნაშიერი — გერჰარდი.

ქრისტეფორე, რომელსაც თავისი ქართველი პაპის სახელი ჰქვია, პირველად სულ თოთო ნამოუყვანიათ იმერეთში. სასიყვარულო სახელიც იქ დაუნათლავთ — ბაუა. ჭაბუკი ქართულს ოდნავ ამტერებს. ირწმუნება, მალე წყალგოთი მეცოდინება, იმედნჯრ ჩამოვალ სამშობლოშიო, მე და გერჰარდს უკვე მზოვილი მეგობარიც გვყავსო.

გელაანი ბიჭმა დაბნეულად გაიღიმა თავისი სახელის გაგონებაზე. ჯერ ერთი ღერი ქართული არ იცის, მაგრამ კახეთის იმედი აქვს. აქვე, ჩვენს გვერდით ზის ამ მაღლაინი კუთხის დესპანი, გერჰარდის ბიძაშვილი ზაურ გელაშვილი, რომ სტუმრები ლაგოდეხში, სოფელ გელათისაკენ გაეკროლოს რამდენიმე დღით. ცხადია, ქალბატონ ტერეზასაც ეპატიჟებიან. იგი მხოლოდ ხელებს შლის.

— ძალიან გულის ხალხი ქართველები... სულ დაპატიჟებენ. სულ ჭამე, მიირთვი...

როგორც ირკვევა, ქალბატონ ტერეზას გულს ახალი დედობრივი საზრუნავი გასჩენია. უკვე ფეხზე ვიყავით წამომლები, როცა ოთარ გიგინეიშვილს მორიდებით ჰკითხა, ჩემი ბიჭისა ხომ არაფერი იცით ახალიო. თუმცა, ამ საზოგადოების ხელშეწყობით, რომლის პრეზიდენტიც ოთარ გიგინეიშვილი გახლავთ, კირკიტაძეების უფროსი ვაჟიშვილი სეკერიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაურიცხავთ.

ოთარ გიგინეიშვილმა დაწვრილებით და საფუძვლიანად გააგებინა გერმანელ ქალს ყველაფერი: თუ როდის გაიგზავნა დევაშვა გერმანიაში, როდის იქნება სეკერიანი მოსკოვში და როდის ჩამოფრინდება უკვე თბილისში, როგორც ქართველი სტუდენტი.

ამ საუბარმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ დიდ და საჭირო საქმეს აკეთებს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ,ეროვნული კავშირის საზოგადოება. საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრებ ქართველთა ბავშვების დედა-საქმობლოში მოწვევა, ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში ერთ-ერთი იქაური ახალგაზრდის ჩარიცხვა მხოლოდ პირველი ნაბიჯია მშობელ ხალხთან მისი დაფანტული შვილების სულიერი შემომტკიცების გზაზე. საზოგადოებას ამ მხრივ ფრიად ფართო და საინტერესო გეგმა აქვს დასახული.

როგორც ყოველ ახალ საქმეს, მასაც თან ახლავს გარკვეული სიძნელეები. კერძოდ, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელთაც, მტრული პროპაგანდის გავლენით, ბოლომდე ვერ დაუძლევიათ უნდობლობა და ყოყმანი. ალბათ ამიტომაც აღმოჩნდა შედარებით მცირერიცხოვანი უცხოელ თანამემამულე ბავშვთა პირველი ჯგუფი. მაგრამ ვფიქრობთ, რომ დედა-საქმობლოს მრავალგზის ნახვის, ჩვენი ხალხის სოციალური, ეკონომიური თუ კულტურული მოღწევების გაცნობას, ახალი საქართველოს ადამიანებთან მჭიდრო და უშუალო კონტაქტების დამყარების შემდეგ ასეთი ჯგუფების, ამასთან გაცილებით მრავალრიცხოვანის, ჩამოსვლა სისტემატური გახდება. ამან კი, უთუოდ, სამშობლოს გარეთ მიმოფანტულ ადამიანებს უფრო უნდა გაუღვივოს მამულიშვილური გრძნობა და საყვარული, ამის სურვილი, რომ შეძლებისდაგვარად პირნათლად ემსახურონ მშობელი ხალხის კეთილი მომავლის საერთო მიზნებს.

ამ იმედით ვიმშვიდობებით საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ქართველ ბავშვებს და ვეუბნებით: დროებით ვიმშვიდობებ ი თ, ნუ დაივიწყებთ სამშობლოს, რომელიც არ გივიწყებთ თქვენ!

ილია რურუა,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

• • •

სურათზე: ხეიდან — ტერეზა კირკიტაძე (მარცხნიდან), ნინო პეკურიძე, ვ. მაკვავიანი (თბილისი), ირაკლი მელიავა, ქრისტეფორე (ბაბუა) კირკიტაძე, გერჰარდ **გელაშვილი.** დგას სესილია რუხაძე.

ი. ჭოხონელიძის ფოტო.

ახალი სეზონი — ფიქრები, გეგმები

მეოცლიერ კერაში დაბრუნებამდე

დღეს, 18 სექტემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალი სეზონი ტრადიციულად ფალიაშვილის „დაისით“ იწყება. ამის გამო გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ჩაიწერა თეატრის დირექტორის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ირაკლი ბერიძის საუბარი, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ:

ახალი სეზონი, — თქვა ი. ბერიძემ, — იმით არის აღსანიშნავი, რომ ჩვენს თეატრს ასოცდახუთი წელი უსრულდება. ამ ხნის მანძილზე ყალიბდებოდა თეატრის შემოქმედებითი სახე, იცვლებოდნენ თაობები, რომლებიც საუკეთესო მიღწევებს, ცოდნას თუ გამოცდილებას მომავალს გადასცემდნენ. ასე შეიქმნა საოპერო თეატრი, რომელიც დღეს წარსულის გამოცდილებას, აწმყოს ნიშსა და მომავალზე ფიქრს ერთად უყრის თავს და სურს ხალხს მუსიკალური საგანძურის სახელი განიმტკიცოს. ეს გზა, რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ საპატიო და მადლიანი.

შარშან, დეკემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიიღო დადგენილება საოპერო თეატრის მუშაობის შესახებ, რომელმაც ჩვენი მომავალი მოღვაწეობის გზი და მიმართულება განსაზღვრა. ჩვენი ყურადღება გამახვილდა თანამედროვეობის ამსახველ საოპერო ნაწარმოებებზე. მას შემდეგ მჭიდრო კონტაქტი დავამყარეთ კომპოზიტორებთან, მოვისმინეთ ბევრი ნაწარმოები და ჯერჯერობით ერთზე შევჩერდით. ეს არის ო. თაქთაქიშვილის ოპერა „ფთრის მოტაცება“, რომლის პრემიერას თბილისელები ახალ სეზონში ნახავენ.

„აბესალომ და ეთერის“ ახალ დადგმას გვპირდებიან თეატრის მთავარი რეჟისორი, დირიჟორი და მხატვარი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები გ. ეორდანია, გ. აზმაიფარაშვილი და მ. მალაზონია.

ჩვენი კოლეგები: უკრაინის სსრ სახალხო არტისტები რეჟისორი დმ. სმოლინი, დირიჟორი სტ. ტურკინი და სახალხო მხატვარი ე. რემოდეროვი საქართველოს საოპერო თეატრის სცენაზე განახორციელებენ მუსიკოსის ოპერა „ბორის გოდუნოვს“. ზემოთ ხსენებულ ორივე სპექტაკლს სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა სჭირდება და ამიტომ განახლებულ მენობაში დავდგამთ.

საოპერო ხელოვნების მოყვარულები წლეულს ნახავენ ჩაიკოვსკის „პიკის ქალის“ ახალ დადგმას, ჯამალ და ზურაბ ანჯაფარიძეები აღადგენენ წუწუნავასეულ „დაისს“. თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი გ. ალექსიძე პ. ჩაიკოვსკის „შჩელკუნჩიკის“ და ს. ცინცაძის „სვანური ლეგენდის“ ახალ დადგმებს გვთავრდება. სიახლე გვაქვს ბავშვებისათვის. ეს იქნება მ. დავთაშვილის ოპერა „ნაცარქექია“.

საქართველოს საზოგადოებრიობამ უკვე იცის იმის შესახებ, რომ საქართველოს სახალხო არტისტის, კომპოზიტორ რ. ლაღიძის ოპერა „ლელას“ შარშან დიდი წარმატება ხვდა. კომპოზიტორი და სპექტაკლის შემოქმედებითი ჯგუფი: გ. აზმაიფარაშვილი, ე. ეორდანია, გ. გუნია, ზ. ანჯაფარიძე, მ. ამირანაშვილი წარდგენილი არიან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიაზე.

19 ოქტომბერს, მოსკოვში, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრის სცენაზე საბჭოთა კავშირის ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრები მოისმენენ ოპერა „ლელას“. ეს იქნება ჩვენი თეატრის კოლექტივის რთული და საპატიო გამოცდა.

„ლელას“ გარდა მოსკოვში ვაჩვენებთ ქორეოგრაფიულ ფანტაზიას ბახის, ჩაიკოვსკის თემებზე და ო. თაქთაქიშვილისა და ს. ცინცაძის საბალეტო ნაწარმოებების ნაწყვეტებს, ვაგნერის ოპერა „მფრინავ ჰოლანდიელს“, რომელსაც გერმანელი ზ. კოლერი უდირიჟორებს.

გარდა იმ სიახლეებისა, რომელზეც ზემოთ მოვახსენებდით, შარშანდელი ჩვენი რეპერტუარიდან წლევანდელ აფიშაზე დარჩება „აიდა“, „ტრავიატა“, „ტრუბადური“, „ქეთო და კოტე“, „იოლანტა“, „გვნდეგილი“.

წლევანდელ სეზონს დიდი იმედებით ვეგებებით და.. მშენებელთაგან განახლებული თეატრის გასაღებს მოუთმენლად ველი!

ერთი ქალი და 47 მამაკაცი

პოლონეთიდან დაბრუნდა მხოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, დიდოსტატი ნონა გაფრინდაშვილი. „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა მას.

აი რა გვიამბო ნონა გაფრინდაშვილმა:

პოლონეთის უძველეს ქალაქ სანდომიერში (და არა სანდომირში, როგორც პრესა იუწყებოდა), რომელსაც გაისად 1.000 წელი უსრულდება, გამართულ საერთაშორისო ტურნირში ვმონაწილეობდით 12 სახელმწიფოს 48 მოჭადრაკე, მათ შორის 47 მამაკაცი. შეჯიბრებაში გამოდიოდნენ საერთაშორისო დიდოსტატები, საზონათშორისო ტურნირის მონაწილე ი. სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია), დ. ბრონშტეინი (სსრ კავშირი), რ. კნაპი (გდრ), საერთაშორისო ოსტატები — რუმინელები ვ. ვაისმანი, ვ. ჩოკილტია და მ. შუბა, პოლონელები ა. სიდორი, ზ. დოდა და ვ. შმიდტი (მან შეასრულა დიდოსტატის ნორმა), უნგრელი გ. სილადი, ე. გერედენი (შვეიცარია) და რამდენიმე ოსტატი, რომლებსაც აგრეთვე შესრულებული აქვთ საერთაშორისო ოსტატის ნორმა. ტურნირი ტარდებოდა შვეიცარიული სისტემით — სულ გაიმართა 11 ტური.

პირველ ტურში შეეხვდი პოლონელ ფ. გადეკს და შედარებით იოლად დავამარცხე იგი. მეორე ტურში ყაიმით დავამთავრე პარტია ფ. ბოკოვსკისთან, მესამე ტურში მოგებულ პოზიციაში მოუღიდნელად წავაგე ლ. მონასტირსკისთან, მეოთხე ტურში გავიმარჯვე შვეიცარიელ ოსტატ ნ. სხაუფელბერგერთან, მეხუთეში — გ. სილადისთან.

„ტურნირის სენსაციას!“ — ასე უწოდეს პოლონურმა გაზეთებმა ჩემმა და დიდოსტატ კნაპის პარტიას, რომელშიც მე გავიმარჯვე.

მემეოთე ტურში ყაიმით დავამთავრე შეხვედრა დიდოსტატ ი. სმეიკალთან. მერვეში — დავამარცხე პოლონეთის წლევანდელი ჩემპიონი ა. ზნაპიკი, მეცხრეში შევებრძოლეთ საყაიმო მდგომარეობა მქონდა დიდოსტატ დ. ბრონშტეინთან, მაგრამ დავამარცხეთ და ფაქტიურად დავკარგე პირველი ადგილი — მანამდე ხომ ერთპიროვნული ლიდერი ვიყავი.

მეათე ტურში მოვუგე პოლონელ ოსტატს ვ. მინცევს, ხოლო უკანასკნელ, მეთერთმეტეში შავებით შევხვდი პოლონელ ვ. შმიდტს და ყაიმით დავამთავრე პარტია.

ამრიგად, 11 ტურის შემდეგ 8 ქულით პირველობა მოიპოვა დ. ბრონშტეინმა. 7,5 ქულა მოვაგროვეთ მე, რ. კნაპამ და ახალგაზრდა მოსკოველმა ოსტატმა ბ. ნისმანმა. კოეფიციენტებით უპირატესობა მიეკუთვნა კნაპს, მესამე პრიზი მე მომაკუთვნეს, მეოთხე — ბ. ნისმანს.

ამ ტურნირზე მე კვლავ შეასრულე საერთაშორისო ოსტატის ნორმა მამაკაცებში.

პოლონეთის ჭადრაკის ფედერაციის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი ყველაზე მეტი მოგებისათვის (6 გამარჯვება) მე გადმომიცეს. მართალია, ამდენივე მოგება ჰქონდა კნაპსაც, მაგრამ მან წაგა პირადი შეხვედრა ჩემთან.

მასპინძლებმა გაისად კვლავ მიმიწვიეს პოლონეთში, სამ ტურნირზე — მამაკაცთა ორ და ქალთა ერთ ასპარეზობაზე.

გვესაუბრება
ნონა გაფრინდაშვილი

ეროვნული ტელევიზია

18 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის გარჯაში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ელუს მე“. ფერადი გამოსახულებით, 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო! (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „შვილსწავლოთ ქართული ენა“, 12.15 — მხატვრული ფილმი „თუ გინდა ბედნიერი იყო“. ფერადი გამოსახულებით, 13.25 — „მუსიკალური აბონემენტი“ — რუსული რომანსი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.50 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 14.10 — „ფოლკლორი — „დედა ენის“ წყარო“ (განმეორებით), 14.45 — ფერადი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მღერის სპი-ხ ვოკალური ტრიო“ (პრემიერა), 15.00 — „ჩვენი სტუმრები“. ფერადი გამოსახულებით, 15.25 — „მუსიკალური შეხვედრები“ (განმეორებით), ფერადი გამოსახულებით, 16.25 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — „ეკონომიკა“ — სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციული ოსტატობა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.25 — „ბავშვებისათვის. „ბაბა-ლეკა“ — „ბაბა-ლეკა“ — „ბაბა-ლეკა“ —